



თ უ მ ა ნ ი ს ვ ი ლ ი ს ა დ ი ს ა ბ ი ს
ო კ ე გ ი ლ ი თ უ მ ა ნ ი ს ვ ი ლ ი ს ა დ ი ს ა ბ ი ს
ო კ ე გ ი ლ ი თ უ მ ა ნ ი ს ვ ი ლ ი ს ა დ ი ს ა ბ ი ს

თ უ მ ა ნ ი ს ვ ი ლ ი ს ა დ ი ს ა ბ ი ს

ფ ფ თ უ მ ა ნ ი ს ვ ი ლ ი ს ა დ ი ს ა ბ ი ს

Tumanishvili Theatre Foundation

ქართული პიესა

2013



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2014

რევიზია

მოქმედი პირები:

გიორგი

სტატისტები: სტატისტი გოგო1 (გ1),

სტატისტი გოგო2 (გ2),

სტატისტი ბიჭი1 (ბ1),

სტატისტი ბიჭი2 (ბ2)

ეპიზოდი 1

ხუცენა ზე ბრუნვა.

უგანა პროექტიაზე ანთია მბრუნავი სპირალის
ანიმაციური გამოსახულება.

ისმის გერმანელი ელექტრონული მუსიკოსისა და
კომპოზიტორის – ტომას ბრინკმანის ემბიენტ
კომპოზიცია სახელად „სპირალი“.

ისმის მაღვიძემარას ხმა.

ინოვაცია დამის ნათურა ტუმბრზე.
ფანჯარაში ჯერ კიდევ ბრუნვა.

გიორგი გაჭირვებით დგება. მას აცვია ზოლებიანი პიჟამო.
სახლის ფეხსაცმელში გაყოფს ფეხებს, ტუმბოდან
იღებს პულტს და ტელევიზორს რთავს. ეკრანის
მაგივრად ინოება მთელი უგანა პედელი, რომელზეც
გამოსახულია შიზოფრენიულთან მიახლოებული
უცხოური (ინგლისურენოვანი) ახალი ამბების არხი,
მორბენალი სტრიქონებით. ხმა გამორთულია.

გიორგი გადის წარმოსახვით აბაზანაში, უშვებს წყალს
და იწყებს წყლის პროცედურებს, თან ფიქრობს.

მისი ფიქრები ისმის ხმად დარბაზში:

– მოსკოვში ჩემი წასვლა ბოლო წამს გადაწყდა და
სულ გვიქრობდი, ეხლა ნეტავი თუ შეიძლება ჩვენს
დროშიც (ტერორისტებს გაულისხმობ) აეროპორტში
ნახევარი საათით ადრე გამოცხადება-მეთქი, მით
უმტეს, კარგად მახსოვს, სამი თვის წინ როგორ
გამჭედეს 8 საათით ჩიკაგოში უგემოვნოდ ჩაცმულმა
გოგოებმა, მაიამის რეისზე მხოლოდ ორმოცდახუთი
წუთით ადრე გამოცხადების გამო.

მაგრამ ბოლოს მაინც წავედი.

შექი ქრება. სიბრუნვეში ისმის აეროპორტის ხმები.

ეპიზოდი 2

იხმის მუქია. შექი ინთება.
გვრანჩე ჩანს ანიმირებული აეროპორტის სივრცე.

გიორგი მიაბიჯებს სასიარულო ტრენაჟორზე, ოდონდ ის არა სავარჯიშოდ, არამედ გამოსასვლელ ტანსაცმელ შია გამოწყობილი და ხელში თანამედროვე ლეპტოპის ჩანთა უკირავს. ყურში გარჭობილი აქვს აიპოდის ყურსასმენები. ის მაყურებელს მიმართავს:

- რეისისთვის რომ მიმესწრო, სირბილ-სირბილით გავდიოდი აეროპორტის შუშის კარგბში და თან ყოველ კართან მიახლოებისას ვფიქრობდი, ნეტა ეს შუშის კარი ავტომატურად იღება თუ ხელით, და თუ ხელით იღება, გვერდზე რელსებზე უნდა გავწიო თუ პირდაპირ უნდა მივაწვე-მეოქი და ამ გაურკვევლობის გამო სულ ველოდებოდი, რომ რომელიმე შუშის კარს არასწორად გავაღებდი და თავზე დამეფშვნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა რომ ბოლო წლებში კარები ტექნოლოგიურად ჩვენთანაც საქმაოდ დაუხვეწიათ. ანუ, ერთი და იგივე კარი შეიძლება ერთდროულად გვერდზეც გაწიო და პირდაპირაც შეაღო – როგორც გაგიხარდება.

რისი წყალობითაც არაფერი დამმართნია.

იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირში დავიბადე და რესულიც კარგად ვიცი, მოსკოვში თავი უცხოელად არ მიგრძნია. უკვე თვითმფრინავში ვიჯექი, როცა გამახსენდა, რომ რუსული სოფიამაც კარგად იცის და დავიწყე ფანტაზიორობა.

პროექციაზე გადის ამოუცნობი მეგაპოლისის ხალხის მასა

მუსიკასთან ერთად ისმის ხალხის გუგუნის ხმა ქუჩიდან. გიორგი ნელა მიაბიჯებს მოსირულე ბილიკზე და შიდა

ჯიბიდან იღებს გაზეთს, გაშლის და ათვალიერებს, თან მაყურებელს ელაპარაკება:

გიორგი: აი მოსკოვში შეიძლებოდა-მეთქი მამენტ გადმოსვლა საცხოვრებლად, სოფიასაც არ გაუჭირდება, და ამასთან ერთად წარმოვიდგინე, როგორ ეუბნება სოფია კოსკის გამჟიდველს იქაურ განცხადებების გაზეთზე: „Да, газету объявлений, покалуйста..“: ზუსტად ასე ვუთხარი ერთხელ მოსკოვში გაზეთების გამჟიდველს მეტროს ჩასასვლელში სადამოს სახლში მისვლამდე და ეგრევე ვიფიქრე, რომ სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ნამდვილი მოსკოვური სამუშაო დღის დასასრული.

კრანჩე მოჩანს მოხუთის ხალხით ვაჭვიდო მუტროხადვურები.

გიორგი: ფიქრებიდან ესკალატორზე ჩართულმა ნიუსებმა გამომარკია: მეტროს ესკალატორის გუგუნში, რეპროდუქტორში ისმის ქალის მკაცრი ხმა: „Сегодня, на Киевском проспекте, в торговом центре произошел несчастный случай, при котором пострадавши потерял девять из десяти пальцев. Как ни странно, он не подал в суд на администрацию“.

სცენის მეორე მხრიდან გამოდის ოთხივე სტატისტი –
2 გოგო და 2 ბიჭი. ერთ-ერთი გოგო დანარჩენებს ურიგებს მზა ქვების პაპეტებს. მათ უერთდება გიორგიც და მის მაგივრად ოხობას განაგრძობს მისი ხმა:

გიორგი: მეტროდან სწრაფადვე ამოვედი იმიტომ, რომ ერთ ენჯეოშნიკურ სიმპოზიუმზე მაგვიანდებოდა (რიხიშვილის საერთოდ წავედი მოხუთის ამჯერად). „სუხი პაიოკი“ და ფული ორგანიზატორებმა აეროპორტში დახვედრისასვე დაგვირგეს. „კაზიონის“

საჭმელი იყო გემრიელი და ოდნავ დეპრესიული. იქნება ჩავაკიჩე ერთი ცალი „ბურიტო“ (მექსიკური „ბურიტო“ მოსკოვში სულ სხვა ბაზარია), გვერდით მდგომ უკრაინელ გოგოს გავუდიმე და პირამოვსებულმა ოდნავ უხერხული ჩლიფინით ვუთხარი: „Как говорится, мэртәң қаңың ჭამа шыңаң ბრაли да“... ასე დაიწყო ჩემი მოსკოვური ვოიაჟი.

ბოლო წინადაღებისას გილგი ჯგუფს გამოეყოფა და მაყურებლისკენ ტრიალდება მთლიანად. თან ქაბაბის ლუქმას დეჭავს და უხერხულად იდიმის, გამოჭერილი დამნაშავის გამომეტყველებით.

სინათლე ქვრუბა.

გპიზოდი 3

სიბულები, მუხიასთან ერთად იხმის

ხმა: „სიძუნწის, შიშებისა და გარდაქმნის ქარტებიდები“
შუქი ინთება და სცენაზე ჩანს მაგიდა, რომლის გარშემოც სხედან ფორმალურ ტანსაცმელში გამოწყობილი სტატისტები. ისინი ასახიერებენ შესარჩევ კომისიას. მაგიდაზე ყრია ქადალდები და ისინი რაღაც ნაშრომს ეცნობიან. ეტყობათ, რომ ართობი ის, რასაც კითხულობენ და მათი მხიარული დისკუსიაც ამ ნაწერს ეხება.

- ბ1: აქ მარტო მე ვარ ისეთი, ვინც არაა მოსკოვში ნამყოფი და რუსულიც არ იცის?
- გ1: მე კითხვა შემიძლია, მაგრამ ლაპარაკი მიჭირს, იმიტომ რომ პრაქტიკა არ მაქვს უკვე ბევრი წელია.
- ბ1: საერთოდ მგონი ახალ თაობაში უკვე ცოტას ესმის რუსული, რა უცნაურია არა, სულ რაღაც ერთი თაობა და თითქოს არც არაფერი მომხდარა.
- ბ2: ნუ, მოლად ასეც არ გავამარტივებდი. ენის დავიწყება

ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ ტვინებში მყარადაა რაღაც დაბუღდებული. აი ეს პიესაც რომ აიღო, გმირი, თითქოს ახალგაზრდა კაცია, განსაკუთრებული და გამოხატული პოლიტიკური მიკუთვნებულობის გარეშე, მაგრამ მისი სულის უხილავი ძაფები მოსკოვისკენ მიემართება. ეს არ ნიშნავს, რომ მას არ ესმის იმპერიის ბოროტების ან ძველ დროს მისტირის.

- გ2:** სხვათაშორის, რაღაც უხილავ ძაფებზეც აქვს ნათქვამი (ფურცლებში ეძებს), ვერ ვპოულობ...
- ბ1:** ძველ დროს ალბათ არ მისტირის, მაგრამ ახალი იმპერია მისთვის არც უცხო არაა, და მაინცდამაინც არც მიუღებელი.
- გ1:** ეს უბრალოდ მისი საყრდენი წერტილია ქაოტურ სამყაროში, სხვებზე ოდნავ უფრო ნაცნობი, ბავშვობიდან დამახსოვრებული ფუნდამენტით, რომელშიც მოსკოვი საუკეთესო ადგილია დედამიწაზე.
- გ2:** სად იყო ეს ძაფები, აღარ მახსოვს, რასთან დაკავშირებით ეწერა.
- ბ1:** გავუყვეთ ნელ-ნელა და ვნახავთ...
- ბ2:** კარგი, სად ვიყავით? ეჯვეოშნიკური სიმპოზიუმიდან სახტუმროში რომ მოვედი, გამახსენდა, ახალ წლებზე მთელი ოჯახით რომ ვიყავით აქ სულ რამდენიმე თვის წინ. მაშინ იყო, შევედი სააბაზანოში და ვხედავ ბავშვი ცხელი წყლით ავსებს აბაზანას. წყალი ცოტათი უკვე გარეთაც გადმოდის, მაგრამ იქვე ტრაპში ჩადის (მოსკოვში ტრაპებიც ხომ გამართულად მუშაობს, როგორც წესი).
- გ2:** შეიძლება მოვწიო?
- ბ2:** მე არ მაწუხებს. (გ2 უკიდებს) სად ვიყავი... ხოდა, საშინლად გავბრაზდი ბავშვის უყურადღებობაზე და მოულოდნელად დამემართა ნამდვილი, სამარცხვინო ისტერიკა. ტირილნარევი ხმით ვხაოდი: „ასე არშეიძლება! სხვებზეც ხომ უნდა იფიქრო! და საერთოდ ცოტა ხომ უნდა იფიქრო! დაიმახსოვრე,

აბაზანის მიღება შეიძლება დღეში მხოლოდ ერთხელ!!! მხოლოდ ერთხელ!!!!“
მოკლედ, ბავშვს სამარცხევინოდ მოვაქეცი და ისიც
გაოგნდა (ასეთი არასდროს ვენახე), მერე სლუკუნი
აუვარდა და აბაზანიდან გავიდა.

სინათლე ქვრება და ისმის უპა გიორგის სმა: მე ცოტათი
დავმშვიდდი, მერე ჭერს ავხედე, დავინახე დაკიდული
ბაკი და გავითიქრე, აქ ბაკის დამდგმელს ნეტა
ჭკუა სად პქონდა – რა იდიოტი მია ბაკის დადგმა
მოსკოვში, სადაც ცხელი წყალი გაუწყვეტლად
მოდის ცენტრალური ბოილერიდან.

ეპიზოდი 4

შუქი ინთება. გიორგი წევს საწოლზე და ხელები თავქვეშ
აქვს ამოდებული და ფიქრობს. მერე სმამაღლა
ამბობს „ცენტრალური ბოილერიდან. ცენტრალური
ბოილერი. მთავარი რეზერვუარი“.

შემოდის პ1, რომელსაც ძველმოდური პიჯავი აცვია.

გიორგი თავს წამოწევს: ვა მამა?

პ1: არ გრცხენია მამა? ბაგშვს ასე რატომ უყვირე.
ჯერ ერთი არაფერი დაუშავებია და მეორეც, რომც
დაეშავებინა ასეთი ისტერიკის მოწყობა რა საჭიროა,
ტკბილად დაელაპარაკე, აუხსენი...

გიორგი: ხო, არვიცი (დგება და მიდის ფანჯარასთან) ეს
ხედი თბილისის პლატოს მაგონებს იცი? ცენტრში
კომუნისტების აშენებული მაღალი შენობები რომ
სულ ლურჯ შუშებში ჩასვენს, გახსოვს? ვითომ
რო გაათანამედროვეს, და ყველაფერი დამპალი
და ამორტიზებული რომ ლურჯი სარკისებური
შუშებით დაიფარა, ვითომ კორეა იყო. რამე
მაღალტექნოლოგიური ეკო-დასახლება. სრული
სიყალბა.

- ბ1:** ეგ კარგი, მაგრამ მე არ მესმის მაინც, რა შუაშია
აქ სეული და რატომ უნდა უყვირო ბავშვს.
არ დაგავიწყდეს, რომ ბავშვები ამ ამბავში
არაფერშუაშია. ოდონდ ეხლა არ დამიწყო მამების
ცოდვები შვილებზე და ეგ ეგეთი ლაპარაკი
- ბ2:** ტრიალდება და აღებს კუთხეში მდგარ საბჭოთა
მაცივარს, რომლიდანაც იღებს ბოთლს, ხსნის და
მოიყედებს. თუმცა არ ესიამოვნება, როგორც ჩანს,
ბოთლს მოიშორებს და ეტიკეტს დააკვირდება.
- ბ3:** რაც არ უნდა თქვა, ვერც რუსები და მით უმეტეს
ვერც ჩვენ ლუდის მაგივრად შარდის წარმოებას ვერ
გადავეჩვით.
- ბ4:** გადის. დიდ კედლის პროექციაზე ჩანს თანამედროვე
ფუტურისტული ქალაქების მაკეტების ანიმაციები,
რომლებსაც ენაცვლება თბილისის ნუცუბიძის
პლატოს პანორამები.

გიორგი ისევ ფანჯრიდან იყურება. ნელ-ნელა შემოდის
80-იანების ანდერგრაუნდ-ცეკვის მუსიკა, რომელსაც
სცენაზე შემოყვება 4 სტატისტი. მათ აცვიათ 80-
იანების ქუჩურ სტილში (ჯინსი, ბოტასები), ხელში
უჭირავთ ლუდის ბოთლები. ბ2-ს აქვს დიდი
მაგნიტოფონი, რომლის დაკრულზეც ბიჭები და
გოგოები ცეკვავენ ბრეიქ დენსს. მათ ფონად გასდევს
გიორგის ხმა:

მოსკოვის ფანჯრიდან ასევე ჩანდა ბადეებით
გარშემორტყმული ეზოს სტადიონი. აი, ზუსტად ფილმ
„კურიერის“ დასასრულში როგორცაა (რო ბნელდება
და ეს ბიჭი ჯარიდან დაბრუნებულ, მორალურად
განადგურებულ ჯარისკაცს რო უყურებს).

ბრეიქ დენსის მუსიკა ძლიერდება, მას ერევა სხვა ტიპის
მელოდიებიც. სტატისტები რიგ-რიგობით მიდიან
საბჭოთა მაცივართან, აღებენ მას, შიგნით იხედვებიან
და მერე აჯახუნებენ. ერთ-ერთ გაჯახუნებაზე შუქი
ქრება.

ეპიზოდი 5

სიბრძლეში კედლის პროექციით
ჩნდება წარწერა *FUTILITY*.
იხმის მუხია.

სცენაზე შემოდის გიორგი „ინვალიდის“ ეტლით,
რომელ შიც ზის ბ1.

პედელზე გადის აეროპორტის პროექცია. გიორგი
მოაგორებს სტატისტიან ეტლს, ორივენი პროექციას
ათვალიერებენ.

ისმის გიორგის ხმა:

— მოსკოვიდან უკანა გზაზე იქ ჩარჩენილი ლიოვა
გამოვგაყოლე, რომელიც რაღაც ფატალური ავარიის
გამო რამდენიმე თვე იყო, რაც ინვალიდის ეტლით
სარგებლობდა. ჩვენს გეიტთან რომ მივედით, ჩემდა
გასაოცრად, აღმოგაჩინე სკოლის დამთავრების
15 წლისთავზე თელ-ავივიდან სპეციალურად
გადმოფრენილი ჩემი ისრაელელი კლასელები.

გიორგის და ეტლში მჯდარ ბ1-ს ხვდება ორი
სტატისტი გოგო, რომლებიც საქმაოდ მიმზიდველად
გამოიყურებიან. ისინი კივილით ჩამოეგიდებიან
(როგორც ჩანს, დიდი ხნის უნახავ) გიორგის.

გ1: გიიიააა!! ვაიმე, ვაიმე, როგორ გამიხარდა?

გ2: რამდენი გეძებეთ იცი??

გ1: თბილისშიც ვრეკეთ, ელ-ეიშიც! თელ-ავივში გვითხრეს,
რომ იქ აღარ ხარ, მოსკოვში რა გინდოდა?? ვაიმე,
სულ არ შეცვლილხარ, იცი?

გიორგი: თქვენც არ შეცვლილხართ. ალაჩა (გიორგი
იღიძის)

გ1: აქ რა გინდოდა? — (უცემ დაინახავს ბ1-ს) —
გამარჯობა?

ბ1: გამარჯობა, ლიონა, ძალიან სასიამოვნოა.

გოგოები ლიონას კუპლუცად ართმევებ ხელს.

გიორგი: ჩემი მეგობარია, რაღაც შარში გაეხვა და დროებით დაინვალიდდა (უტყობა, რომ უცინება ამ სისულეების თქმისას). პოდა, ჩამოვაკითხე რო თბილისში გადავიყვანო მოსაშუალებლად.

გ1: ჩვენ კიდე კლასის შეხვედრა გვქონდა, რომამ აიჩქმა მოსკოვში ვქნათო, და მაგიტომ გირეკავდით ამდენს, გექებდით მთელს მსოფლიოში ჰაპაპა!!!

გ2: სასტუმრო „რასსიაში“ ვიყავით, იცი, რა მაგარი იყო? ყველაფერი რომას ორგანიზებული, ხოიცი, რა პედანტიცაა?!

გიორგი: ვაა, რა სამწუხაროა, რო არ ვიცოდი ხომ მოვიდოდი!

გ1: არაუშავს, ხუთ წელიწადში გავიმეორებო ჰაპაპა!!!

გიორგი: ნუუ... დიმა იყო სანდლერი?

გოგოები შეიშუშნებიან.

გ1: დიმა არ იყო, არ იცი მაგის ამბავი ხო?

გიორგი: რა ამბავი.

გ2: დიმა ელ-ეიში წავიდა ალთქმული მიწიდან, წარმოგიდგენია?

გიორგი: მოიცა, ისრაელში იყო აქამდე?

გ1: ისრაელში იყო ხო, კულინარია დაამთავრა, ეგ კი გეცოდინება, მერე ძალიან აფსქეილ დვიუენიაში მოყვა, ფოშ ფოშ, ლამაზი გოგოები, დრაგები და უცებ ყელში ამოუვიდა.

გ2: ყელას მაგრად გაგვიტყდა, არ გელოდით მისგან ელ-ეის, ისრაელის შემდეგ.

გიორგი: რატომ რატომ?

(ვერ ხვდება რას გულისხმობებ გოგოები)

თქვენ ამბობთ, რომ ისრაელი ალთქმული მიწად და ელ-ეი – არა? ჰაპაპა!!!

რეპროდუქტორი რაღაც რეისს აცხადებს. გოვოები
მიაყურადებუნ.

გ1: ეს ჩვენი რეისია, გავიქეციო?

გიორგი: გამიხარდა თქვენი ნახვა!

გ1, გ2: ჩვენც... გკოცნიიო...

მირბიან შოპინგის მუყაოს პაკეტებით ხელში, ქუსლებზე
ამხედრებულები.

გიორგი და ბ1 მათ უყურებენ.

გიორგი (მუცხუებელი): L.A...

პროექციაზე ჩნდება წყნარი ოკეანის კალიფორნიის
სანაპიროს ფოტო დილით. უკრავს „სპირალი“,
რომელსაც დაყვება აეროპორტის ხმები.

ბ1 გიორგის ამოხედავს ეტლიდან და ისინი ერთმანეთს
უყურებენ გადიმებულები. პროექციაზე იწერება:
THEY DON'T KNOW WHAT IS WHAT.

შექი ქრება.

ეპიზოდი 6

შექი ინთება და სცენაზე ჩანს მაგიდა, რომლის
გარშემოც ზის სტატისტებისგან შემდგარი კომისია.
ამჯერად ისინი მოგვაგონებენ არასამთავრობოების
ქალაქების გამართულ სიმპოზიუმს თუ
კონფერენციას, შესაბამისად ისინი არაფორმალურად
არიან გამოწყობილი – შორტებში, მაისურებში,
სკამებზე გადაკიდებული პირსახოცებით. პროექციაზე
ანთია PowerPoint მოსაწყენი სლაიდებით, რომლებსაც
შიგადაშიგ, გრძელი ინტერგალებით ენაცვლება იმის
ფოტოები, რაზეც კომისია ლაპარაკობს. მაგიდაზე
ყრია ქადალდები და ისინი განაგრძობენ პიესის
კითხვას.

- პ1:** მე მგონია, რომ აქ სახეზე გვაქვს ადამიანის ზრდასრულ ასაკში შესვლის ჭინთვები.
- პ2:** პაპაშ! ჭინთვები.
- გ1:** ფილმ „კურიერის“ ხსენება და ეს ინვალიდის ეტლი. შენ გინახავს კურიერის ის სცენა, რაზეც მანდ წერია?
- გ2:** ხომ გითხარი, რუსული არ ვიცი-მეთქი.
- გ1:** მოკლედ, იქ, ფილმის ბოლოში, მთავარი გმირი დგას ეზოში, სადაც თინეიჯერები ბრეიქს ცეკვავენ და ამ დროს ეზოში შემოდის ჯარიდან დაბრუნებული მეზობელი ბიჭი, რომელსაც მხოლოდ მთავარი გმირი ხედავს და ისინი ერთმანეთს უყურებენ შორიდან.
- პ1:** მერე?
- გ1:** მერე იმ ჯარისკაცს აქვს წაშლილი სახე. მან უკვე ჩახდა თვალებში ცხოვრებას, ბავშვობა დამთავრდა და ბრეიქის მოცეკვავე სასტავმა ჯერ არ იცის, რა ელით მათ წინ.
- გ2:** მე ვიცი, რაც ელით – ინვალიდის ეტლი!

სინათლე ქრება და „სპირალის“ თანხლებით პროექციაზე ჩანს ინვალიდის ეტლის ნიშანი, რომელიც ნელა ტრიალებს და უსასრულობაში იკარგება.

ეპიზოდი 7

მუსიკის ფონზე გედელზე პროექციით ჩნდება წარწერა: „პუანკარეს სქემა“

სცენაზე გამოდის გიორგი მუყაოსგან დამზადებულ ქოსტიუმში, რომლითაც ის რობოტს თუ ხის სათამაშოს ემსგავსება. კიდურებსა და კისერზე მიბმული აქვს ძაფები.

ისმის გიორგის ხმა, რომლის პარალელურად გიორგი აკეთებს იმ მოძრაობებს, რაზეც ტექსტშია საუბარი.

გიორგი: ასეთი ჟესტს ვამხეცებდი: ვითომ ძაან დაღლილი

გარ და ხელი უნდა მოვისვა სახეზე და მაყურებელს პათეტიკურად ზურგი უნდა შევაქციო. მხოლოდ ამის გაკეთების შემდეგ აღმოვაჩენ, რომ ხელებზე ძაფები მაქვს მობმული და მარიონეტი გარ.

ამ დროს ისმის რეჟისორის ხმა:

- კარგია გიორგი, ერთადერთი, ყურადღება მიაქციე, რომ ძაფები არ აგებლანდოს.

გიორგი ატრიალებს ხელს და აკვირდება, აიბლანდა თუ არა ძაფები. ეკრანზე ჩნდება კომიქსური წარწერა ნაფიქრის სტილში (თეთრ წრევებში): „არის თუ არა რამე განსხვავება იმაში, ძაფები ნამდვილია თუ წარმოსახვითი?“

პროექციის წარწერა იცვლება ცარიელი საბჭოთა კურორტის ხეივნის ვიდეოთი. გიორგი თავის მუჟაოს კოსტიუმითა და ძაფებით დგება სავარჯიშო მორბენალ ბილიკზე და იწყებს სიარულს. კურორტის ვიდეოს ქვემოთა მხარეს აღნიშნულია მისი პროგრესი, რომელიც უჩვენებს 44%-ს.

გიორგი განავრძობს ხარულს.

შემოდის გ2, რომელიც აპურატულად ჩაცმული კოხტა დიასახლისის ამპლუაშია. ის გ1-თან ერთად მიუჯდება მაგიდას. გოგოები ყავას სვამენ და ჭორაობენ. გ2 უყვება გ1-ს მისი და გიორგის უიკენდის შესახებ სამხრეთში.

გ2: ისეთი სასიამოქნო იყო. მოსკოვის სტაჟირებიდან რომ დავბრუნდი, წავედიოთ სამხრეთის საზღვარზე, სადაც ტურიზმის დეპარტამენტმა USAID-ის დაფინანსებით საჩვენებელი სასტუმრო ბუნგალოები ჩადგა.

გ1: უი ხო? ეგ რა ადგილია? მაგ მხარეში არასდროს ვყოფილვარ.

პ2: თავიდან მეც ვერ ვხვდებოდი ზუსტად და google earth-ში რომ დავაპატარავე და დავინახე, რომ ესაა აღგილი, სადაც სამი ქვეყნის გადაკვეთაა და იქვეა რაღაც კამკამა ტბა თუ წყალსაცავი. ანუ, მთავარი რეზერვუარი!

პროგჩიაზე გადის გუბლის მოძრავი რუკები დიდი ხიმალიდან.

პ1: კარგი პირობებია?

პ2: ძალიან! გათბობა, ცხელი წყალი! ადამიანური საწოლები და ყველაფერი ახალი! ჰოდა, გადავცურეთ ეს ტბა ყვინთვით და მეორე ნაპირზე რო ამოვედით და ბორცვზე ავცოცდით, დაღლილებს თვალწინ გადაგვეშალა მთელი მდინარეების პანორამა, რომლებიც ამ ტბას სხვადასხვა მხრიდან უერთდებოდა და კვებავდა. ყველა ქვეყნის მაცოცხლებელი წყალი შედიოდა ერთ უზარმაზარ კამკამა რეზერვუარში! და ციდან ისმოდა გალობა!

პ1: აჯ!

ისბის ვალობა.

გოგოები ჩუმად განაგრძობენ მაგიდასთან ჭორაობას. გიორგი ასრულებს ბილიკზე სიარულს, გადმოდის, საიდანდაც გამოიდებს შეიკერს და როგორც ჩანს, საშელს იმზადებს და თან მოყოლას განაგრძობს. მის უკან მიდის სამოყვარულო კამერით გადაღებული საბჭოთა ქალაქების ზაფხულის კადრები, რომელთაც გასდევს ძველი სლაიდების გამშვების ხმა.

გიორგი: უკან რომ დავბრუნდით, სოფია სიდედრთან დაგტოვე და მე გამოვედი ჩვენთან. თბილისის აგვისტო ხომ ხვდები, ქალაქი რო დაცლილია და დედაჩემი ჩემთან დარჩა დასაძინებლად, იმიტომ მასთან რემონტი იყო. დედაჩემი უცნაურ თემაზე

მელაპარაკებოდა: საერთოდო, მე ყოველთვის თბილისში ვისვენებ ყველაზე კარგადო, არ მიყვარსო არსად სიარული. რატომდაც აბიზალოვგააო რო სადმე კურორტზე უნდა წახვიდეო. და მეთქი პო, დე, რა სისულელეა, მეც მაგრა მევასება მეთქი აგვისტოში თბილისში ყოფნა და ამას რო ვამბობდი, შევამჩნიე რო მთვარე ისე მაგრა ანათებდა, რო დღის შუქი მეგონა, ანუ რაღაც მომენტში ისიც ვიფიქრე, რო დღეა და რო მივედი ფანჯარასთან და გადავისედე, დავრწმუნდი, რომ დამა იყო და ცაზე ეკიდა უზარმაზარი მთვარე.

გიორგი შეიკერით ხელში მიდის ფანჯარასთან და გარეთ გაიჭვრიტება.

შუქი ქრება. კედლის პროექციაზე მოჩანს სავსე მთვარის ფოტო ან ანიმაცია, ან უბრალოდ პროექტორის მრგვალი შუქი.

ეპიზოდი 8

შუქი ინთება და ჩანს ოთხი სტატისტი მაგიდის გარშემო. როგორც ჩანს სადამო ჟამია და ისინი ჩაიზე არიან შეკრებილი. შუაში დგას დიდი სამოვარი. ბ1-ს ყელზე კიდია ბუბლიკების ასხმა. ისინი განაგრძობენ პიესის შეფასებას.

- გ2: ეს ადამიანი წინააღმდეგობებითაა სავსე.
- გ2: ხან თბილისში გრძნობს თავს ყველაზე კარგად, ხან პირიქით – სამშობლო მისოვის აპოკალიპტური სივრცეა.
- გ1: კატრინას რომ ადარებს, მაგაზე ამბობ?
- გ2: მაგაზეც, და სხვებზეც. არ ვიცი, ექიმი არ ვარ და მიჭირს დიაგნოზის დასმა, შეიძლება, რომ ეს იყოს „ბიპოლარული დისორდერის“ შემთხვევა? ადამიანი მერყეობს განწყობებს შორის და ხშირად ეუფლება განწირულობის განცდა.

შემოდის მოკლუტალლოგანი რადიოს წევილის ხმა, თითქოს ვიღაც ცდილობს ახალი ამბების დაჭერას. გ2 ფურცლუბში იქმნება.

გ2: აი უყურეთ – „ქვევით რო ჩავედით, ბარში, უკვე ადარავინ იყო, ისევ ბნელოდა და რადიოში გამოსცემდენ ახალი ამბების სპეციამოშვებას (დიქტორის ტონზე მივხვდი). ყველა მანქანა ქუჩაზე დადიოდა საბურავებდახეთქილი, და რაღაც ქაოსივით იწყებოდა, ანუ იდგა ზუსტად ის მომენტი, საიდანაც სიტუაცია უმართავი ხდება. ქუჩაში ნელნელა ყველაფერი შენელდა და ბოლოს ხმაც აირია. ვიდაცამ „ნაკოლი“ მომცა: იქითა კვარტლებში, სასტუმროსთან საპარტო ბურთები დგას ტაქსის პონტში და მხოლოდ მათი საშუალებით შეიძლება ქალაქის დატოვებათ. უკვე ჰაერში, ინსტრუქტორისგან გავიგე, რომ გარდვეულა ორლეანის დამბა და ყველაფერი წყალში იძირებოდა“.

პროექციაზე გადის აპოკალიპტური ან რაღაც ძველი ცივილიზაციის ნაგრევების ანიმაცია.

ისმის რადიოსიგნალების ხმა, რომელიც დროდადრო შეშინავს იქარგება.

სტატისტები მაგიდასთან განაგრძობენ ხმადაბლა საუბარს და ჩაის სვამებს.

შეუძლება.

ეპიზოდი 9

სიბნელეში ნათდება წარწერა „აქვაპარკი“, რომლის ასოებშიც თეთრის ნაცვლად მწვანილის ინკრუსტაცია ჩანს (ოხრახუში, კამა, ქინძი, ტარხუნა და ა.შ.)

ისმის ამერიკული პლაჟის, კალიფორნიული მუსიკა.

შუქი ინთება და მოჩანს გიორგი თეთრ შორტებში, რომელიც ისევ ფანჯარასთან დგას და გარეთ იყურება. ხელში შეიკერი უჭირავს.

შეზღვნებზე წვანან სტატისტი გოგოები. ბ1 გ2-ს ზურგზე ლოსიონს უსვამს, ხოლო ბ2 გ1-ს უპეთებს ტერფის მასაჟს. ყველა ძელნიერია.

გიორგი: ერთ-ერთ კორპუსში, სადაც ჩემი ორი მეგობარი გოგო ცხოვრობს, სახურავზე ავედით. ჩვენს ხელთ არსებული სარეკლამო ფლაქერების მიხედვით, აქ მერიის დაფინანსებული ახალი დასასვენებელი პროექტი ხორციელდებოდა.

პროექციაზე გადის აუზის წყალქვეშ გადაღებული კადრები. სხეულები საცურაო კოსტიუმებში ცისფერ წყალსა და ჰაერის ბუმტუბებში ლიკლივებენ.

გიორგი განაგრძობს ლაპარაკს და თან წრეს არტყამს დამსვენებელი სტატისტების გარშემო, რომლებიც მას არ იმჩნევენ. უკრავს პლაჟის მუსიკა.

გიორგი: და მართლაც, სახურავის კარი რომ შევაღეთ, წინ ძაბან „დანავაროტებული“ აპკაპარკი გადაგვეშალა: ნიკელის მოაჯირები, თეთრი შეზღვნები, ჯაკუზები და ძალიან ბევრი ხალხი, ძალიან uspcake დვიუენია, ახალგაზრდა მოვლილი დედები კუპალნიკებში ზაგარს იღებენ, ბავშვები დარბიან ჭიანჭველებივით, „იტოგში“, კაი გახურებული პლაჟის განწყობა სუფევდა.

გიორგი: ამასთან ერთად, ასეთ ადგილას ყველაფერი ტოვებდა მირაჟის შთაბეჭდილებას: სახურავიდან კარგად ჩანდა, ჩვეულებრივად, პროზაული საბჭოთა კვარტლები და ყველაფერი ეს...

გიორგი მიუთითებს პროექციაზე, რომელზეც მოჩანს შორიდან ზუმით გადაღებული თბილისის საბჭოთა მიკრორაიონები (ბახტიონის კორპუსები, პლატო, ხილიანი).

გიორგი ბოლოს სტატისტებს მიუჯდება, შეიძერიდან
მოპიტოს დაისხამს, შლიოპანციან ფეხს ფეხზე
გადაიდებს.

გიორგი: მოპიტო მოვწრუპე, ალკოჰოლის „ლაითი
პრიხოდის“ აღტკინებულმა მეგობრებს გადავხედე
და კმაყოფილმა ვუთხარი

იხ კრო-კრო სტატისტს მიუბრუნდება.

გიორგი: ასე იყო თუ ისე, სახეზეა ქალაქის განვითარების
ფაქტი არ? რა იყო თბილისი სულ რაღაც 7-8 წლის
წინ? ჩვეულებრივი მემწვანილების ქალაქი.

ბ1: რომელიც გ2-ის ზურგზე ლოსიონს უსვამს, მას
გამოეხმაურება.

ბ1: ძნელია არ დაგეთანხმო. ერთხელ ბიცოლაჩემმა
გამაგზავნა შაქარზე და რომ მივუტანე, ნაწილი
სახლში გამომატანა (ჭირდა მაშინ შაქარი, ჰაჲა).
პოდა, სახლში რომ მოვდიოდი ამ შაქრის ფხვნილიანი
პარკით, იქვე ქუჩაში ყიდდნენ მწვანილს – მწვანე
ხახვს და ტარხუნას. ოდონდ ძალიან ძვირი ღირდა!

პროგეტიაზე მთლიანად მოჩანს წყლით დაცვარული
მწვანილის კონკრეტული როგორი შპალერი.

გ1: იგონებ რადაცას, მწვანილი არასდროს ღირდა ძვირი,
კაპიკები ღირდა ყველაფერი, არ იცი?

ბ1: რა ქვეყანა დაანგრიეს? ჰაჲა!

ბ1 და **გ2** იცინიან. **გ2** თვალდახუჭული წევს შეზღუდვაზე
და ინაბება კრემიანი ხელის ქვეშ

გიორგი და სტატისტები, პლაჟის მუსიკით, საცურაო
კოსტიუმებში გამოწყობილები, მწვანილის ფონზე
ფიქრებში მიღიან.

შეუძლია კრება.

ეპიზოდი 10

პროექციაზე ჩნდება წარწერა „ირმის ნახტომი“, რომელიც გამოსახულია გარსკვლავიანი ცის ფონზე. გიორგი ზის საწოლზე და წერილს წერს. სტატისტები სხედან საცურაო კოსტიუმებში მაგიდასთან და პიესის ფურცლებში იქმნებიან.

- გ2: და ისევ რასაც გამბობდით, გაორებასთან დაკავშირებით. შეუძლებელია, არ დაინახო შენი ქვეყნის მასინჯი წარსული, მაგრამ უარს ვერ ამბობ ბავშვობაზე.
- გ1: ის გამოოქმა გეცოდინებათ, სამშობლო გაბოზებული შეყვარებულივითააო. რომ გეზიზღება და ოავსაც რომ ვერ ანებებო, ჰაჲაჲ!

ხუმრობაზე არავის ეცინება. ისინი განაგრძობენ საუბარს, გიორგი კი – წერას.

იხმის მისი ხმა.

გიორგი: ჰოდა, ჩემთ სოფიო, იმას გწერდი, რომ ეს ქუჩა ჩემთვის ძალიან, ძალიან განსაკუთრებული ადგილია, რა თქმა უნდა იმიტომ, რომ მე აქ გავიზარდე. იმ ადგილას სადაც სკეიტბორდით ვკატაობდი, ეკლესია ააშენეს. ასე, რომ ამ ადგილას ერთად დგას ეკლესია, მიტოვებული სტადიონი, ტენისის კორტები და სპორტული დარბაზი. გამორჩეული ადგილია. P.S არ მინდა იფიქრო, რომ ამ სიტყვებს იმედგაცრუების ტონი დაყვება.

გიორგი წერილს ეცავს და კონვერტში დებს, რომელსაც მაგიდასთან მოსაუბრებებს უგდებს მაგიდაზე. მერე სკამს გამოწევს და ისიც ყველას უერთდება.

გიორგი: თქვენ როდესმე თუ დაგსიზმრებიათ გიდეოოთამაში?

ბ2: მე დამსიზმრებია ნამდვილი ატრაქციონები, დიზნილენდი.

გ1: მე დამსიზმრებია უკვე ნანახი მულტფილმები, მაგრამ ვიდეოთამაში – არა.

გიორგი: აი მე დამესიზმრა, თითქოს ვიყავი ვიდეოთამაშში, რომელსაც ქვია doom, ანუ „გამოუვალი მდგომარეობა“. და როგორდაც გავედი საიდუმლო ლეველზე, სადაც ხდებოდა ასეთი რამ: მე ვიყავი ვიდეოგეიმში და გავრბოდი სიბრძლის თავზე ბილიკით, რომელიც ჩემს ფეხქვეშ ქრებოდა და იმას, რომ უფსკრულში არ ვვარდებოდი, მივაწერდი მხოლოდ და მხოლოდ თამაშის რაღაც პროგრამულ შეცდომას. ბოლოს, ფინალურ ბრძოლაში, მე ვესროდი ისრებს doom-ის მუტანგს და დისპლეის ქვედა ნაწილში ვცდილობდი ჩემი სიცოცხლის სტატუსის დანახვას. ერთი პირობა ვიფიქრე, რომ თამაშს არ ჰქონდა სიცოცხლის ინდიკატორი და როცა შევამჩნიე, ის უკვე თავდებოდა – უჩვენებდა 0.01% და მე ვთქვი ქართულად: „მორჩა...“

გ2: „game over?“

გიორგი: „game over.“

შეჯი ქრება.

პროექციაზე ჩანს წითელი წარწერა „Game Over“, რომელსაც ხანმოკლე სიჩუმის შემდეგ ედება ავტომატის ჯერისა და თანამედროვე ორთაბრძოლის ხმა, როგორებიც მოჰყვება ხოლმე ცხელ წერტილებში გადაღებულ ვიდეოებს.

ეპიზოდი 11

ხუსნა ნათდება.

ფანჯრის სიახლოვეს ერთმანეთის პირისპირ იატაკზე სხედან გიორგი და ბ1. აცვიათ მოღეღილი სამხედრო ფორმები. იქვე ფეხმორთხმით ზის ბ2 ტაჯიგურ

კოსტუმში და რაღაცას (საგარაუდოდ ნარკოტიკს) ახარისხებს და წონის პატარა სასწორით. იატაგზე დევს ტაბლა ჩაით.

გიორგი: რა სიგიჟეა, დილით ხომ ვიყავით აქეთ და როგორი სიმშვიდე იყო და ეხლა კიდევ ფრონტის ხაზია.

ბ2: ხო, ეგ ტალიბანის ხალხია, საზღვარზე უნდათ გადმოსვლა აგერ უკვე რამდენი ხანია, მაგრამ ჩვენები არ უშვებენ რუსებთან ერთად, რა თქმა უნდა.

ბ1: მე კიდევ მგონია, რომ უბრალოდ ომობანას თამაშობენ.

გიორგი: ჩვენს სკოლასთან, ტბაზე, თუ გახსოვს, იყო რაღაც მუზეუმი მეორე მსოფლიო ომის პონტში. ოდონდ ცოტა ავანგარდულად გადაწყვეტილი, იმიტო რო ანტურაჟი იყო შუასაუკუნეების და კედლიდან გადმოდიოდა ჩანჩქერი, მწვანე იყო ყველაფერი ხავსისგან, აი, ულამაზესი. მე და პუტანკა რედაქციიდან ავდიოდით ხოლმე მოსასვენებლად. პოდა, სულ ვეკითხებოდი, გინახავს-მეთქი ისეთი სილამაზე, როგორც აქ, ამ მუზეუმშია-თქო?

ბ1: მახსოვს, როგორ არა, მანდ ძველ გილზებს ვპოულობდით ხოლმე რუსული პოლიგონიდან შემთხვევით წამოსულს.

გიორგი: პოო, ზუსტად. კიდევ ერთ-ერთ დარბაზში პქონდათ გერმანული პირველი ომის დროინდელი საბრძოლო თვითმფრინავების მოდელების ექსპოზიცია, რეიხის ჯვრებით. გრანიტში, რუს მარმარილოსა და ქვაში გამოქანდაკებული ულამაზესი მთლიანი მოდელები.

პროექტორზე გადის პირველი მსოფლიო ომის დოკუმენტური კადრები.

ბ1: ხოო, ვითომ ხო გმობდნენ რეიხს და სინამდვილეში მათი ფეტიში პქონდათ საბჭოელებს, განსაკუთრებით ეგეთ გადაკარგულ მუზეუმებში, და ჩვენთვის

კიდე, სკოლიდან გამოპარული ბავშვებისთვის, ებ მოდელები სათამაშოები იყო და ვიზრდებოდით მათ გარემოცვაში.

იხმის ავტომატის ხმა და ყვირილი ავტონურ თუ ტაჯირურ ქნა ზე

ბ1: აქ მგონი მაინც უფრო უყვართ რუსები.

გიორგი: რუსები ჩვენთანაც უყვართ, ჰაშა, ყველაფრის მიუხედავად.

ბ1: აქაურობას მაინც ვერ შეადარებ. ჩვენთან, გაქანებული ომის დროს, რუსები მოიწვევნ სიღრმეში, მაგისტრალი გადაკეტილია და ამ დროს, 2008 წლის 11 აგვისტოს, მე და ჩემი გოგო ბათუმში ვდგავართ სანაპიროზე და სოფია, როგორც იცის ხოლმე ჯიუტად, იმ ტონში რომ, რასაც ადრე მეუბნებოდა, მართალი გამოდგა, მეუბნება: „აი ხომ ხედავ, კარგი ტურისტული სეზონია“ და მე ვპასუხობ „კაი რა, სოფი, რა კარგი ტურისტული სეზონი, ვერ ხედავ „ვაბშე“ არავინ არაა“ და ორივემ გავიხედეთ სანაპიროზე, სადაც, აი, ძაბაზნ მაგარი „ბარხატნი“ სეზონის ზაკატი იყო, მაგრამ პლიაჟი იყო სუსულ ცარიელი – მთელ სანაპიროზე, სადამდეც თვალი გაწვდებოდა, არ იყო ადამიანის ჭაჭანება. და პლიაჟზე, თეთრი ქვებით, ადამიანის სიმაღლისხელა ასევებით, სავარაუდოდ, რუსი სამხედრო პილოტებისთვის აკრეფილი იყო იღუმალი წარწერა „რუსებს რაა?“

გიორგი: ჰაჰაჰა!

ბ2 რაღაც დანადგარს უძიდებს, ნაფაზს ურტყამს და სტუმრებს გადასცემს.

გიორგი და ბ1 ნაფაზებს ურტყამენ და ჭერში იყურებიან.

გარედან იხმის ავტომატის ხმა.

ხვენა ბეჭდება.

ეპიზოდი 12

სიბნელეში, მუსიკასთან ერთად ისმის სლაიდების აპარატის ჩხაკუნის ხმა. მესამე გაჩხაკუნებაზე გამოჩნდება სლაიდიც – ეგვიპტური ოურომაჟლი აბანოები, კოლონადები, არკები, აკვედუკები.

ყველაფერი ორთქლში იძირება. ისმის გიორგის ხმა, რომელსაც ფონად გასდევს წყლის ნაკადის ხმა და აბანოს ექოები.

გიორგი: ჩვენს გვარს აქვს ასეთი ტრადიცია, შემოდგომის ბოლო კვირა დღეს ყველანი დავირაზმებით და მივდივართ ხოლმე ძველ აბანოებში განსაბანად და განსაწმენდად. მამაჩემის გადმოცემით, ეს რიტუალი უკავშირდება საბჭოეთიდან წარუმატებელ მცდელობას, რომელიც ბაბუაჩემს ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დროს, რის გამოც ისიც და მისი ოჯახიც ოცი წლით იაკუტიაში გადასახლეს. და რადგან არ მოხერხდა მონობიდან გაღწევა, ბაბუაჩემმა სათავე დაუდო ამ ტრადიციას, რაც, მე მგონი, იყო მონობაში სუფთად დარჩენის მეტაფორა.

ბ1: გადმომაწოდე საპონი.

გიორგი: ეს სტუმრები მაინც რა წამოსაყვანი იყო, უხერხეული არაა?

ბ1: უხერხეულირატოა, ეგენიარიანაღმოსავლეთმცოდნები და აინტერესებთ ძველი რიტუალები.

გიორგი: მამა, ეს არაა ძველი რიტუალი, ესაა მე-20 საუკუნის 60-იანების რიტუალი, სხვათაშორის.

ბ1: კაი, კაი, ნუ წუწუნებ.

გიორგი: მთელი ბავშვობა ამ მარაზმატიკ აღმოსავლეთმცოდნებს არ უუყურებდი ისედაც, რო დაგვევებოდნენ თქვენი სამსახურების ექსკურსიებზე კაგებეშნიკებთან ერთად, და მერე თქვენ რო თვრებოდით და ხაიამის ლექსებს რო უკითხავდით გამოლენჩებულები, ჰაჰაჰ! (გიორგი გვერდით მობანავე სტუმარს მიუტრიალდება) Hey, do you like it here? You

know, human rights and related stuff are probably the only things where you can stay somewhat honest at least.

პ2: what?

პ1: რას ეუბნები, მითხარი მეც.

გიორგი: რას და, მეთქი, ადამიანის უფლებები ერთადერთი რამეა, სადაც შეიძლება მეტ-ნაკლებად პატიოსნად დარჩენა-მეთქი.

პ1: ნეტავი შენ არ ბოდავდე, მოწიე რამე?

გიორგი: ვერც კი წარმოიდგენ, რამდენი ხანია, არაფერი მომიწევია.

პ1: ის როგორ იყო, რაღაც ფილმს რო იდებდით შენი და შენი ძმაკაცები აჭარის წუმპეებში.

გიორგი: რომელს, „მზიანი აჭარა“?

პ1: ჰო, ჰო, და რაღაც სცენა რო იყო ატმებით, ვითომ ფარაჯანოვის პაროდია.

გიორგი: რა იყო და ფილმის გმირი, თავის მეგობრებთან ერთად მიდის ქობულეთის მიტოვებული საბჭოთა სამხედრო აეროდრომისკენ და გზის პირას შეამჩნევენ დაღუპული მგზავრის საფლავს მემორიალური დაფით, რომელზეც, მემორიალის სახით, ამოსული იყო ატმის ხე დახუნძლული ნაყოფით. ჰოდა, მე მივდიოდი მასთან, ვწყვეტდი ერთ ატამს, ვპტქდი და პათეტიკის გარეშე ვამბობდი: „თუ ეს ხე საფლავზეა ამოსული, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ეს ატამი მკვდარი ადამიანის სხეულისგან დამწიფდა?“

პ1: და ეგ იყო ფარაჯანოვის პაროდია?

გიორგი: ფარაჯანოვის პათოსი უფრო კარგად ჟღერს.

პ1: ფარაჯანოვის პათოსი?

პ2 (ვაიგებს ნაცნობ ხახელს და ჩაურთავბ): I like paradjanov!

ხუკია ბხელდება და ანთებულ ეპრანზე ჩანს გაჭრილი პროწეული.

ეპიზოდი 13

სცენა ინთება. 4 ჩამწერივებულ სკამზე, მაყურებლისკენ ზურგით სხედან ბ2 და გ2 და უყურებენ სხვადასხვანაირ ბროწეულებს პროექციაზე. ისმის ძველებული სლაიდების გამშვების ჩხაკუნის ხმა. ეკრანის წინ გამოდიან ბ1 და გ1, რომლებსაც მოყავთ მანეკენები.

განათება ოდნავ იყლებს და ხდება მშეუტავი.
მანეკენები ერთმანეთს ელაპარაკებიან.

მანეკენი ქალი1 (მქ1): გიორგუნა მივიყვანე ავიაციის წრეზე.

მანეკენი ქალი2 (მქ2): უი, საად?

მქ1: მეექვსე მიკროში

მქ2: იმ კაცთან? სკოლაშიც როა?

პროფესორზე ანთია ძველი ავიამოდელები.

მქ1: პო პო, ისეთ ძველ კორპუსში ცხოვრობს, ისეთში. ბინა თვითმფრინავის მოდელებითაა სავსე, ისე ბავშვებს კი მოსწონთ.

მქ2: კარგია მაგათავის ისე

მქ1: პოდა, როგორი შენობაა იცი, დამელოდეთ ერთი წუთითო გვითხრა და სადღაც გავიდა ცოტა ხნით და სანამ ველოდებოდი, დივანზე ვიჯექი და უცებ ტანით ვიგრძენი მთელი ეს 20-სართულიანი შენობა: რო გრძნობ რო ძაან დიდი და ძველ კორპუსი ხარ, ძველი კანალიზაციით, ძველი კომუნიკაციებით, ძველი ნაგავსაყრელით.. და ყურებში ჩამესმა დედაჩემის ხმა მესმოდა, რო ამბობდა, რო ეს ტარაკნები ვერაფრით ვერ გავწყვიტეო. მერე ვიგრძენი, რო ლეიბებს შორის რადაც თაგვის მაგვარი გაძვრა და მეთქი ტარაკნები არაუშავს, მაგრამ მეტქი, დედა, მოდი, რადაც ცხოველებია აქ და არ გიპინონ. მოვაბრუნე

თავი და ზუსტად ჩემს ცხვირთან, ირანულ პლედზე
დასკუპებული იყო რიგა ტარაკანა და ულვაშებს
აცმაცუნქბდა.

გერანზე ჩნდება რიგა ტარაკანი.

ისმის გიორგის ხმა: ვისაც გაინტერესებთ, როგორი
იყო პირველი საბჭოთა 3დ კინო, გეტყვით, რომ
მისი სპეციალისტი მდგომარეობდა შემდეგ რამეში –
კინოსეანსის მიმდინარეობისას, თუ ფილმში ვიღაც
ძვლებოდა, დაქირავებული პერსონალი მანეკენებს
ისროდა პირდაპირ მაყურებელში!

პროექციაში ტარაკანს არტყამენ ფესსაცმელს და ბ1 და
გ1 მანეკენებს მაყურებელში ისვრიან. გ2 კიფის და
გარბის. ბ2 ხარხარებს. მერე დგება და მიყვება გ2-ს
დასამშვიდებლად.

გერანზე გადის კ. წ. „შუმი“ ანუ შიშინი.

სცენაზე შემოდის გიორგი, რომელიც მანეკენებს
იატაკიდან კრეფს. ამ დროს შემოდის გ2. გიორგი
მივარდება მას და ხელს წაავლებს მკლავში.

გიორგი: სად გაიქეცი, რამდენი გეძებეთ, გაგიჟდი?

გ2: რა საზიზდრობა იყო ეს!

გიორგი: ხომ გითხარი, მერე ბავშვებს გადმოყრიან
სცენიდან-მეოქი...

გ2: პოდა, მაგიტომაც გავიქეცი, შენ რა განერვიულებს
ვერ გავიგე.

გიორგი: ეს ჩემი კინოთეატრია.

გ2: ყოველთვის ვიცოდი, რა ბანბიც იყავი, (უყვირის)
მეზიზდები შენი ნეკროფილური მიდრეკილებებით!

ხელს აშვებინებს და გარბის.

მას მიყვება გიორგი, ცარიელ სცენაზე ისმის მისი ხმა.

გიორგი: ასეც ვიცოდი, რომ წამომაძახებდი სიზმარში ზომბებთან ზასაობას. აწი რასაც მოგიყვები ნახავ! ეკრანი და განათება ერთად ითიშვილი.

ეპიზოდი 14

ეკრანზე ჩნდება დიდი თვალი.

შემდეგ ინთება სცენა და ჩანს, როგორ ეთამაშებიან მაგიდასთან მჯდომი სტატისტები გიორგის „თვალის გასწორობანას“. თამაში იმაზეა, თუ ვინ გაუძლებს პარტნიორის თვალებში ყურებას უფრო მეტ ხანს. მაგიდაზე აწყვია ბოთლები.

გიორგი და გ2 ერთმანეთს უყურებენ თვალებში.

გიორგი: აღიარეთ, რო მაინც ჩემპიონი ვარ!

გ2: ჯერ მოიცავ, ჯერ არ დამთავრებულა.

გიორგი: რად უნდა ამას დამთავრება და ამბავი აი ნახავ!

გ1: არის ამ თამაშში რაღაც სიღრმისეული.

გიორგი: თამაშში თუ მის სახელში?

გ1: თვალი გავუსწორე და თვალი ვერ გამისწორა – არაფერს გეუბნება ურთიერთობებზე?

გ1: მეუბნება, როგორ არა.

გ2: და რას გეუბნება?

გ1: რას და რომ ვიღაცა ვიღაცასთან ყოველთვის დამნაშავეა ან ვიღაც ყოველთვის მსხვერპლად გრძნობს თავს.

გიორგი: დიდი საზიზდრობაა გინდ ერთ მხარეს ყოფნა და გინდ მეორე მხარეს. დაახამხამე! ჰაჲაჲ ვამბობდი?

გ2: ოოოსსს!

გიორგი: გახსოვს, ცეცხლს რო ვუყურებდით, ხანძარს, მეორე ქუჩაზე, მერე ნიკიტასთან რო ავედით.

მაგიდასთან ეწევთან და სვამებს ვიხეოს.

პ2: როგორ არ მახსოვეს.

პ1: მეც იქ არ ვიყავი? ვიღაც გადაბერებული უცხოელი მხატვარი რო ყავდა. (ძაძავს მხატვარს) შენ მაინც ხომ იცი ნიკიტა, რა მნელია დღეს არტისტებისთვის ნახატების გაყიდვა და, ზოგადად, ფინანსური სტაბილურობის მიღწევა.

კრანზე ჩნდება მიწის (ნიადაგის) მოახლოვებული ჯაღრი.

გიორგი ახლა გ1-ს ეთამაშება „თვალის გასწორობანას“, თან ლაპარაკობს.

გიორგი: და მე ახალგადვიძებული რო გავტოდიალდი სამზარეულოში, მეთქი, რადგან ფულზე ჩამოვარდა ლაპარაკი, არ გინდათ, რო ვიყიდოთ ქალაქის მთავარი სასაფლაოს მიმდებარე მიწები და სულ რაღაც ერთ თვეში ყველაფერი უკანვე გავყიდოთ-მეთქი. ბოლოს როცა იქ ვიყავი, სასაფლაოს ფერდობს ჩავუკი და გამოვშტერდი, ამდენი ახალი საფლავი, თვალუწვდენელი! ისეთი ფხვიერი იყო მიწა, რო ფეხები მეფლობოდა სულ, ოდონდ კი არ მეშინოდა – უბრალოდ ვფიქრობდი, რომ უსიამოვნო იქნებოდა. ფეხი რო კუბოზე მომიხვდეს. მეთქი, „იმედია ღრმად აქვთ კუბოები ჩამარხული...“

„სპირალის“ კომპოზიცია და აეროპორტის კადრები პროექციაზე.

პ1: შენ მაგრად აპათოლოგებ ხოლმე ხო, რო თვრები?

გიორგი: ძალიან იშვიათად ვთვრები და ნიკიტასთანაც არ ვყოფილგარ მაშინ მოვრალი.

პ1: მაშინ ხო იყავი, აეროპორტში რო წახვედით ყველანი კლასელების შეხვედრიდან, შენ რო ვერცხლიფერი წვიმა გეხურა თავზე და აეროპორტში დისკების

მადაზიის წინ რო ჩაგეძინა სკამზე, ყურებზე
ნაუშნიკებით.

გიორგი: აუ ეგ რამ გაგახსენა, მერე მაგის მერე მოხდა
რაც მოხდა.

გ2: „ღუტი ფრის“ გოგოები რო წამოიყვანეთ ხო.

გიორგი: ხო, იმინა „დიუტი ფრი“ გოგოები! ჰაჲა! და
გზაში წამოგვეწია რუსული სამხედრო კამაზი,
მთვრალი სამხედროებით. მოეჩვენათ, რო რაღაც
ვანიშნეთ მანქანიდან, გზაში.

გ2: მერე?

გიორგი: მერე მოგვიწია მათთანაც არყის დალევა და 20
წუთში კაი ძმაკაცებივით დავემშვიდობეთ ერთმანეთს,
არადა, მაგარი შარი იყო.

გ1: რუსეთი მაგარი შარია.

პროგექტიაზე ჩანს რუსული სამხედრო მანქანა „კამაზის“
მბრუნავი მოდელი.

ეპიზოდი 15

პროგექტიაზე ჩანს რუსული სამხედრო მანქანა „კამაზის“
მბრუნავი მოდელი.

გიორგი სიბნელეში მიაბიჯებს მორბენალ ბილიკზე.
მოკიდებული აქვს პატარა ზურგჩანთა და ახურავს
პანამა.

გიორგი: ზაფხულში, მთაში რო ავედი, 20-წლიანი
პაუზის შემდეგ ისევ დაიწყებს საზღვარზე რუსეთიდან
უღელტეხილით გადმოსვლა ალპინისტების ჯგუფებმა,
პოდაჩემი იქ ყოფნის დროს, თითქოს ერთ დიდი ჯგუფი
ჩვენს სახლშიც გაჩერდა და სტუმრები უჩვეულოდ
უზრდებულად იქცეოდნენ, როგორც საკუთარ
სახლში (შესაძლოა იმიტომ, რომ ჩახლი ცოტა
მიტოვებულს წააგავდა), რის გამოც სახლიდან

გავყარე. მამაჩემი და თომა კი მარწმუნებდნენ, ცოტა უხეშად მოგივიდა, სინამდვილეში მათ ჩვენი წევნინება არ უნდოდათო, რის შემდეგაც, ცოტა არ იყოს, ვინანე, მაგრამ აღარ შევიმჩნიე. პოდა, რო გამოვედი ეზოში, მიმოვიხედე და ჩემ წინ კლდე როა, თოვლიანი, რომელსაც დაბადებიდან ვუყურებ დილაობით, დავინახე ამ ნაბოზვრების ამოტვიფრული უზარმაზარი წარწერა: „ვანია, ჩელიაბინსკ“

შექი ქრება და პროექციაზე ჩნდება ფოტომონტაჟი – კლდეზე რუსულად ამოტვიფრული „ვანია, ჩელიაბინსკ, ავგუსტ 2008“ და ისმის გიორგის ხმა: - აზე სარ?!

სცენა და პროექცია ქრება.

პროექციაზე ინთება ვარსკვლავიანი ცა. ისმის „სპირალის“ კომპოზიცია, ჭრიჭინების, მდინარისა და გიორგის ხმა: „როცა დადამდა, მე და ნიკო და მამამისი შევედით მდინარეში ჩირადდნებით სათევზაოდ“.

სცენაზე გამოდის ორი სილუეტი, დაკაპიწებული შარვლებით, რომლებსაც ხელში უჭირავთ ჩირადდნები. გიორგი ჩამოღის ბილიკიდან, იკაპიწებს შარვლის ტოტებს, იდებს ერთ-ერთ ჩირადდანს და სილუეტებს უერთდება. ისინი დაღიან წრეზე, რიტუალური ცეკვის მსგავსად და, სავარაუდოდ, სათევზაო ბადეს ქაჩავენ.

გიორგის ხმა: მდინარე შეთხელებული იყო და შედარებით წენარად მოედინებოდა. ჩირადდნების ცეცხლზე სიბრძლიდან ბევრი თევზი მოდიოდა და მალე ძნელი გახდა კალმახის ასხმების ხელში ჭერა. ჩვენც ყველაფერი ნაპირზე დავაწყეთ და მდინარე რამდენჯერმე გადავცურ-გადმოვცურეთ.

ერთ-ერთი სილუეტი იწყებს ბადის აკეცვას. დანარჩენი ორი ჩირადდნებიან რიტუალს განაგრძობს.

გიორგის ხმა: ნაპირზე ამოსვლისას ისევ გამოვედე
რაღაცას და ხელით რომ მოვსინჯე, აღმოჩნდა,
რომ მდინარეში გადიოდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი
კაბელი, რამაც გამაოგნა, იმიტომ რომ, ვერასძროს
წარმოვიდგენდი, რომ ჩვენს მიწაზე, მთაში შეიძლება
გაევლო ასეთ მნიშვნელოვან ტრანსკონტინენტურ
სატელეკომუნიკაციო მაგისტრალს. მერე
გამასესენდა, რომ ეს მდინარეც ზღვაში ჩადის, დიდ
რეზერვუარში.

მეთვ ზემო ბადეს კუცავებ,
ჩირაღანებს იღებებ და ვაღიან.
კურანზე მჩება კარსტლავების გამოსახულება.

ეპიზოდი 16

სიბნელეში, ვარსკვლავიანი ცის ფონზე, ისმის გ1-
ის აღტაცებული ხმა, რომელიც სატელევიზიო
გიდეოსიუჟეტს უძღვება: „რამდენიმე დღეა ქართველი
არასამთავროების ჯგუფი გადავფრინდით დუბაიში
ორგვირიან მედია სემინარზე, როგორც განვითარებადი
დემოკრატიის წარმომადგენლები.“

შუქი ნელ-ნელა ინთება. ეკრანზე ჩნდება არარსებული
ქალაქების ფუტურისტული გრაფიკული ანიმაციები.

სცენაზე დგანაან სტატისტები და გიორგი. გიორგი და 2
სტატისტი წარმოადგენნენ ქართველი არასამთავროების
ჯგუფს, დარჩენილი გ2 – უურნალისტია და მიკროფონი
უჭირავს ხელში, რომელშიც გ1 ლაპარაკობს. ბ2-ს
გამერა უჭირავს და იღებს. გ1 განაგრძობს სიუჟეტს.

გ2: ემირატების გაქანება ყველასთვის ცნობილია, და მათ,
ამ ახალ ქალაქში, სანაპირო ზოლზე აშენებული აქვთ
მსოფლიოს მეგაპოლისების მომავლის მოდელები:
ნიუ-იორკი, მეხიკო, რიო, პარიზი, ლონდონი,

ბარსელონა, რომი, კაირო, მოსკოვი, შანხაი, ტოკიო,
დელი, სეული..

- გ1:** შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ერთგვარ დიზნილენდში
ვიმყოფებით?
- გ2:** კი, შეიძლება, ოღონდ დიზნილენდზე ბევრად უფრო
რეალური და მასშტაბურია ყველაფერი.
- გ1:** სემინარზე გვითხარით ორი სიტყვით, თუშეიძლება.
- გ2:** ჩვენი სემინარი დუბაის ტოკიოში ტარდებოდა
და ქალაქის ლენდმარკი, ანუ მთავარი ნაგებობა,
კონსტრუქციით ძალიან ჰგავდა თბილისის ანძას.
ოღონდ წარმოიდგინეთ, რომ ტოკიოს ტიპის
ქალაქია და მთაზე კი არ დგას ეს ანძა, არამედ
სხვა ცათამბჯენებთან ერთად, რაღაც კონკრეტულ
ბრტყელ სივრცეში, როგორც, ვთქვათ, მანჟეტენზე,
ბევრი მაღალი შენობების კონცენტრაციით. პოდა, ამ
ანძას სახელად ერქვა „თეთრი დათვის ცათამბჯენი“
და იყო ზუსტად დიდი დათვის ასლი: ვარსკვლავივით
კაშკაშა ნაწილები და მათი დამაკავშირებელი
მილები როგორც თბილისის ანძას აქვს, ოღონდ
ძალიან-ძალიან დიდი და ჰაი-ტექი!!
- გ1:** შემდეგ ჩვენ წავედით ჩვენი სასტუმროს რესტორანში,
სემინარის დახურვის ბანკეტზე, სადაც, როგორც ჩანს,
ემზადებოდნენ რაღაც ზღაპრული კორპორატიული
ალაფურშეტისთვის. რა გინდა, სულო და გულო,
ყველაფერი იყო, დუბაის ძირძევლი ტრადიციებით, ანუ,
ნებისმიერი კონტინენტის საკვები (მეგაპოლისების
კოლექციასავით), თუმცა! უნდა აღვნიშნო, რომ
ქართული სამზარეულო არ იყო წარმოდგენილი,
რაზეც შენიშვნების წიგნშიც ჩავწერე!
- გ2:** და მიწისძვრასაც შეესწარით, როგორც ვიცი?
- გ1:** ზუსტად მაგაზე მინდოდა გადასვლა.
- გ1:** ნომერს რომ მივუახლოვდი, ცოტა შემაქანა და მეთქი
„ეს ნამდვილი მიწისძვრაა თუ ტოკიოს იმიტაციის
ნაწილი?“ ჰაპაპ! მაგრამ მაინც მოვტრიალდი და
წამოვედი გასასვლელისქენ.
- გ1:** ლიფტთან რომ მივედი კაბინის ნაცვლად დია შახტა

დამხვდა და ქეევით ჩანდა გაჩერებული კაბინა! ამ დროს ისევ შეირყა!! ვიფიქრე, კიბებით ჩავალ, ლიფტით არ შეიძლება მიწისძვრის დროს-მეთქი, გავბრუნდი და იმის გამო, რომ კიბების კარი და სამზარეულოს კარი გგერდიგვერდ იყო, შემთხვევით შევედი რესტორნის სამზარეულოში!! მაგრამ, ამ დროს უკვე დაიწყო ძაააან სერიოზული რყევა და დავინახე, რომ მზარეულებმა დაყარეს ყველაფერი, თავზე პოდნოსები დაიფარეს და იატაკზე ჩასხდენ სადაც იყვნენ, იქვე.

- გ1: ანუ, შენობიდან გაქცევა არც უცდიათ.
ბ1: მეთქი, აქ ალბათ ასეა, შენობები ირყევა მაგრამ არ ინგრევა, რაც არ უნდა იყოს, იაპონია თუ არა, მისი ძალიან მაგარი კოპიაა, შეიძლება უკეთესიც კი, ვიდრე ნამდვილი, მაინც, და მათ უკეთესად ეცოდინებათ, როგორ უნდა მოიქცე მსგავს სიტუაციაში, რის გამოც მეც ავდექი, რაღაც დაწნული პოდნოსი დავიფარე თავზე და ჩავჯექი რბილ იატაკზე და ვიჯექი ასე რყევაში და ვიფიქრობდი რო ეს ყლეები შეცდენ! (უურნალისტი და უველა გარშემომყოფი შეცბებიან უცენზურო სიტყვა ზე: -აჯ)
ბ1: და ამჯერად ვიფიქრე, რომ მიწისძვრა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე აქამდე ყოფილა და რომ შას ვსემ ნასტანებ პიზზეც!!!

შველა: აჯ!!

ერთი წამით ყველაფერი შეშდება, გოგოებს პირზე ხელი აქვთ აფარებული, გიორგი და ბ2 უხერხულად იღიმიან.

შუქი ქრება. პროექციაზე ჩანს ანიმირებული უდაბნოს ლანდშაფტი, რომელზეც ქარი დათარეშობს. შემდეგ ეპრანი ქრება და სიბნელეში ისმის მუსიკა.

ეპიზოდი 17

განათება ნელ-ნელა ბრუნდება და ჩანს სარბენ ტრენაჟორზე მორბენალი გიორგი, რომელიც ვარჯიშს ცდილობს, თუმცა ცალ ხელში უჭირავს კოქტეილის შეიკერი, მისგან კი ინტერვიუს აღებას ცდილობს ახალგაზრდა უწრნალისტი გოგონა, თავისი ოპერატორით.

პროექციაზე ტრიალებს რომელიდაც ძვირფასი და ელგუბანტური იარაღის მოდელის სარეკლამო ანიმაცია.

გ1: თუ შეგიძლიათ მოგვიყვეთ თურქეთის საზღვართან მომხდარ ტრაგიკულ ინციდენტზე?

გიორგი: (თან დარბის). არ ვიცი ბევრი დეტალი, რომ ჩავედი უცხოელ კოლეგებთან ერთად, უმშე დაძაბული სიტუაცია იყო. სპეცნაზი გადმოდიოდა ახლად მოსული სამხედრო სატვირთო მანქანებიდან და იკავებდნენ პოზიციებს.

გ1: თურქელი მხრიდან თუ იყო რამე პროცეკაციის მსგავსი?

გიორგი: არა, იქით არანაირი მსგავსი სამხედრო ან სხვა რამე ძალის გადაადგილება არ შეინიშნებოდა, თუ არ ჩავთვლით ზედ საზღვართან მომდგარ „ჰამერს“. თურქებმა პირიქით – ჩვენებს მიაწოდეს ინფორმაცია, რომ დაუდგენელი პირი ბირთვული ნარჩენების საქართველოში გადმოსატანად აპირებდა საზღვრის გამორღვევას.

გ1: თქვენ ეს საიდან იცით?

გიორგი ჩერდება და გადმოდის ტრენაჟორიდან. მიდის მაგიდასთან, ისხამს შეიკერიდან კოქტეილს და წრუბავს.

გიორგი: არ ვიცი, იქ ამბობდნენ. და მართლაც, თურქელ მხარეს მდებარე გორაკიდან დიდი სისწრაფით წამოვა

სამხედრო „ჰამერი“, გაანგრია დობე, გადმოკვეთა საზღვარი და გაჩერდა. ყველაფერი ეს ხდება ტელეპამერების თვალშინ, თქვენც ნახეთ ალბათ. მაგ დროს უკვე ბევრი ჯგუფი იყო ამოსული ადგილზე.

გ1: კადრები ვნახეთ, მაგრამ კომენტარები არ გაკეთებულა. ანუ, რატომ მოხდა დამრღვევის ლიკვიდაცია, თქვენი აზრით? და რატომ აღმოჩნდა ეს ადამიანი აზიური იქრის – ჩინელი, კორეელი თუ იაპონელი?

გიორგი: ნუ, წარმოშობის მიზეზი ნამდვილად არ ვიცი. საზღვრის დამრღვევის ლიკვიდაცია, ჩემი აზრით, მოხდა შეცდომით, რადგანაც სპეცნაზმა იფირა, რომ მას უნდოდა ბირთვული ტვირთის აფეთქება ჩვენს ტერიტორიაზე. დეტონაცია. სინამდვილეში კი მას უბრალოდ უნდოდა თავის მოკვლა და ჯიბისკენ იმისთვის წაიდო ხელი, რომ იარაღი ამოედო თავის მოსაკლავად.

გიორგი ცალი ხელით იღებს პირსახოცს და იწყებს სახის მშრალებას, თან ჟურნალისტს ელაპარაკება. ისინი ნელ-ნელა მიემართებიან გასასვლელისგენ.

გ1: რატომ გგონიათ ასე?

გიორგი: იმიტომ, რომ როცა ის მანქანიდან გადმოვიდა, სამხედრო სალამი აიღო, რაზეც ერთი პოლიციური ბაევიკი გამასხვნდა, სადაც ერთი მეამბოხე გენერალი იკლავს თავს, ზუსტად ისე იქცევდა ის კაციც.

გ1: მეამბოხე გენერალი? რა უცნაური შედარებაა.

შუქრი ქრება და ჩანს მხოლოდ იარაღის რეკლამა

გიორგი: ეს არაა შედარება, დარწმუნებული ვარ, რომ იმ გენერალივით იტყოდა – „მე არაფერს ვნახობ“ და შუბლს გაიხვრებდა. თქვენ როგორ მოიქცეოდით მის ადგილას?

ეპიზოდი 18

სცენა ნათდება. სტატისტები უსხედან მაგიდას და პიესას განიხილავენ. ქალაქებარეთა სიმპოზიუმი, ოღოროც ჩანს, დასასრულს მიუახლოვდა და ისინი შედეგებს აჯამებენ. იატაკზე, სკამებთან დევს ერთო-ორი სამგზავრო ჩანთა თუ კეისი.

პ2: მოკლედ რეები გამოიკვეთა...

გ1: მე მგონი სახეზეა სუიციდური ფონი.

უკულა ახელავს მშრუბავი იარაღის ანიმაციას და თავის დააქმნება.

პ1 თან ხსნის დვინის ბოთლს. არჭობს საცობში სახრახნისს და იწყებს ტრიალს.

პ1: პო პო, კიდევ წარსულის ჭაობიდან ამოსვლის პრობლემები, ეს გაუთავებელი მინიშნებები ძეველ დამპალ კომუნიკაციებსა და მოშლილ გამწმენდ სისტემებზე.

სტატისტ გოვთებს ფულერები მოაქვთ

და მაგიდაზე აღავებენ.

გ2: კიდევ გაორება, თუ გაურკვევლობა. რაც აქამდეც ვთქვით, როცა აცნობიერებ წარსულის სიმახინჯეს, მაგრამ უარს ვერ ამბობ საკუთარ თავზე ამ სიმახინჯეში.

გ1: და გარედან მოსული საშიშროების მუდმივი მოლოდინი.

პ1: ყველა მხრიდან და ყველა საზღვარზე.

გ1: და რამე კათარზისის მსგავსი თუ შეამჩნიეთ?

გ2: ჯერ ხომ ბოლომდე არ გავსულვართ. გზაში დავამთავროთ რაა...

იხმის ხაცობის ამომრობის ხმა. უკულა მხიარულადაა.

ბ1: ოპაა, აბა ვნახოთ ერთი, როგორია?

ასხამს დავიხის.

ბ2: აბა მივაჭახუნეთ!

მივახუნება ზე შუქი ქრება და პროექცია ზე ჩანს ძალიან
მოახლოებული შავი ყურძნის მტკვნები, რომლებიც
დავინის სიშავეში გადადის.

ეპიზოდი 19

მუსიკა. შუქი ნელ-ნელა ბრუნდება. გიორგი წევს თავის
საწოლზე და გაზეთ „საბჭოთა სპორტს“ კითხულობს.
საწოლზე წამოკოტრიალებულან ასევე სტატისტებიც.
ყველას თან აქვს ფუშერები წითელი ღვინით, და
დროდადრო წრუპავენ. ბ2 აკეთებს მოსაწევს. მას
აცვია იგივე ტაჯიკური კოსტიუმი, რაც ტაჯიკურ
ეპიზოდში. სხვებსაც აცვიათ კოსტიუმები სხვადასხვა
ეპიზოდებიდან – ზოგს საცურაო კოსტიუმი, ზოგს
ელეგანტურად.

ბ2: გახსოვს ჩვენი ტაჯიკური ვოიაჟი? პეპე... (ნაკახს
არტყამს და გიორგი აწვდის).

გიორგი გამოართმევს, მოწევს და ბ1-ს გადააწოდებს,
თან „საბჭოთა სპორტს“ გადაფურცლავს.

გიორგი: პმმ. მე ყველაფერი მახსოვს.

ბ2: გიო, შენი ფოტოები რო აგტვირთე რატო არ
მიღაიქებ?

გიორგი: როდის ატვირთე, არ შევსულვარ ორი დღეა,
როდის მოასწარი, ერთად არ დავბოდიალობთ
ყველგან?

გ2 მოწევს და გადააწოდებს გ1-ს.

გიორგი: „უი, დღეს სოფიას დავუწერე წერილი, გინდათ
წაგიკითხოთ?

ბ2: გამოუშვი.

გიორგი საიდანდაც ამოაძვრებნს ფურცელს.

გიორგი: ქვირფასო სოფია, ჩემი მოსკოვური
მივლინება დასასრულს უახლოვდება. მანამდე
კი ფლორიდაში ვიყავი რამდენიმე კვირით რაღაც
გაუგებარ სიმპოზიუმზე. ცოტა ისეთი ტუსოვკა იყო,
აღვოკატების ყრილობა თუ რაღაცა ტასკა ეგეთი.
საჯარო მოხელეები.. ჰოდა, თითქოს ვიდაცამ თქვა,
რომ დღესო ბავშვებიო ქალაქის პარკში ამა და ამ
ჰიმნს შეასრულებენო. და ყველამ თქვა: „ოო.. ძალიან
კარგი, ძალიან კარგი“. და თითქოს ყველანაირად
მხარი დაუჭირეს ბავშვებს. ოღონდ ისეთი პონტი
იყო, რო მოლ, ჩვენ ხო ვიციოთ, რო უბედურები ვართ,
მაგრამ ბავშვებმა ჯერ ხო არ იციან და ამიტომ
იმდეროო ჯერ და აკეთონ თავიანთი საქმე.

შორს, ბიჭების გუნდის სიმღერა გაისმა. გარშემო
იყო ძალიან ბევრი ბავშვი, მაგარი ურიამული და
მხიარულება. „ამერიკულ გორაკებზე“ პატარა
ვაგონჩიკების მაგივრად უზარმაზარი ყვითელი
ტრამვაები ეკიდა, რომლებიც ილეთებს აკეთებდნენ,
„ნახადუ“ ტრიალებდნენ რელსებზე და ზარებს
აწკარუნებდნენ. კაროჩე იყო პიზდეცი!

და ზუსტად იმ დროს, როცა ტრამვაიმ ჩამიარა ჟივილ-
ხივილით, ისე ჩამწყდა რაღაც მინუს უსასრულობისკენ.
სიგარეტს ვეწეოდი და ისე ვუყურებდი გასართობი
პარკის ურიამულს და ისეთი შეგრძნება მქონდა,
თითქოს დედახემიც იქ იდგა ჩემს ზურგსუკან
და მაკვირდებოდა. ჰოდა, ეს რო დავაფიქსირე,
ძალაუნებურად დავიწყე ჩემს თავზე დაპვირვება,
რო მოლ, ეხლა როგორს მხედავს დედახემი?
და დავინახე, რო შესახედავად მაგარი უბედური
ვჩანვარ, რის გამოც სიგარეტის ძაან დიდი ნაფაზი

დაგარტყო, და რაც ყველაზე გამაღიზიანებელი იყო, იმედგაცრუებული კაცის როლში შევედი, რაც მაგარ საზიზდრობად მიმაჩნია.

და ზუსტად ამ დროს, ყური მოვგარი გვერდით მაგიდასთან მჯდომი ორი ადვოკატის საუბარს, რომლებიც კონიაკს წრუპავდნენ და სიგარებს ქაჩავდნენ. ერთი უხსნიდა მეორეს პარკის ატრაქციონების ბილეთების სისტემას: რა ვერ გაიგე – უცბნებოდა ის თავის ნაპარნიკს – ბილეთი ყველას ერთი და იგივე გვაქვს. და ატრაქციონს რაც შეეხება, მაგას კი უპყე შენ თვითონ ირჩევ. (პაუზა) გკოცნი ბევრს, შენი გიორგი.

ბ1: ვაა სადოლ!

ბ2: რა მაგარია?

გ2: ვინ არი ყველაზე ნიჭიერი და პათოლოგი??

გიორგი: მე ვარ!

გ1: აქ კიდე დარჩა?

ბ2: მანახე აბა.

გ1 მოხაწევს გ2-ს გაუწვდის. ის თავიდან უკიდუგბს.

გ1: დღეს რა ვქნათ?

ბ1: რა კარგია, რომ დღევანდელზე იკითხე და არა ხვალინდელზე, ან ზეგინდელზე? ვინარი პატარა ნინძა და სამურაი?

ცდილობს გ1-ს გაეთამა შოს.

გ1: შემეშვი რაა, ჰაჲა, გამანებე თავი, დებილო!

გიორგი: ნინძა თუ ნინძის დაქალი, ჰაჲაჲ!

ბ1: ნინძის სპრავედლივი ხელი მოგხვდება, ჰაჲაჲ!

ბ2: სამურაის ცოლი!

გ2: ნინძების ობშიაკის ამკრეფი, ჰაჲაჲ!

შუქი ქრება.

პროფესიაზე გადის უსასრულო ფრაქტალის ანიმაცია.